



სასამართლო სხდომის ოქმი

26 სექტემბერი 2012 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები: თეა ძიმისტარაშვილი, ნათია ქუთათელაძე
სხდომის მდივანი: ბეატრიქე პაპანდოპულოვი

აპელანტი - ააიპ „მწვანე ალტერნატივა“
აღმასრულებელი დირექტორი - ნინო გუჯარაიძე
წარმომადგენელი - ირმა მახათაძე

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო
წარმომადგენლები: მამუკა ივანიაშვილი, ნანა ზამთარაძე

მესამე პირები:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და
სამშენებლო ინსპექცია
შპს „დარიალი ენერჯი“
წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა,

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სხდომა დაიწყო 12⁰⁵ საათზე.

სხდომა დამთავრდა 12¹⁵ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს
განსახილველ საქმეს. სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს
პროცესის მზადყოფნის შესახებ მოსახსენებლად. სხდომის მდივანი მოახსენებს, რომ
განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდნენ:

აპელანტი - ააიპ „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი - ნინო
გუჯარაიძე, წარმომადგენელი - ირმა მახათაძე (მინდობილობა ერთვის საქმეში
არსებულ მასალებს, საადვოკატო უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობა
№3354)

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს
წარმომადგენლები: მამუკა ივანიაშვილი, ნანა ზამთარაძე (ზრძანება №ი-242 -
წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, ერთვის საქმეში
არსებულ მასალებს)

მესამე პირი - შპს „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი (მინდობილობა ერთვის საქმეში არსებულ მასალებს)

არ გამოცხადდა მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, (სხდომის დღის შესახებ ცნობილი იყო კანონით დადგენილი წესით)

სხდომის თავმჯდომარე ამოწმებს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, წარმომადგენლის უფლებამოსილებას, აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი

მოსამართლეები: თეა მიმისტარაშვილი, ნათია ქუთათელაძე

სხდომის მდივანი: ბეატრიჩე პაპანდოპულოვი

სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს აცილების უფლებას.

მხარეებს სასამართლო შემადგენლობისა და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არა აქვთ.

სხდომის თავმჯდომარე განმარტავს, რომ სხდომაზე გამოუცხადებელი მხარისთვის სხდომის დღის შესახებ ცნობილი იყო კანონით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის დასწრების გარეშე საქმის განხილვის თაობაზე,

აპელანტი - ააიპ „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე სასამართლოს მოახსენებს:

ფაქტობრივად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის მონაწილეობა საქმეს წაადგება, რიგი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა უფრო შესაძლებელი გახდება, რაც ხელს შეუწყობს კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, აპელანტი - ააიპ „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი - ნინო გუჯარაიძე აცხადებს, რომ ეთანხმება წარმომადგენლის ირმა მახათაძის მოსაზრებას.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები: მამუკა ივანიაშვილი და ნანა ზამთარაძე აცხადებენ რომ სასამართლოს მიანდობენ მესამე პირის დასწრების გარეშე საქმის განხილვის საკითხის გადაწყვეტას.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, მესამე პირი - შპს „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი სასამართლოს მოახსენებს:

სხდომის გადადების წინააღმდეგი ვარ, ვინაიდან ემსახურება საქმის გაჭიანურებას, მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის პოზიცია დაფიქსირებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ადგილზე თათბირით მიღებულ განჩინებას, სხდომის თავმჯდომარე განმარტავს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვა მოხდეს მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის დასწრებით,

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სასამართლო სხდომა გადაიდოს 2012 წლის 24 ოქტომბერს 12⁰⁰ საათზე.
2. სხდომის დღის შესახებ მხარეებს ეცნობოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარე:

ნანა ჭიჭილეიშვილი

სხდომაზე გამოცხადებულ მხარეებს ჩამოერთვათ ხელწერილი სხდომის დღის შესახებ.

სხდომის მდივანი:

ბეატრიქე პაპანდოპულოვი

